№ 122
შაბათი, 21 ივნისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 122
შაბათი, 21 ივნისი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| [illegible] | 8 — | 3 | 3 50 |
| 1 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 1 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქართული საერო ხორო

ალ. კავსაძის ლოტბარობით და ივ. მჭედლიშვილის გამგეობით ახლად შეკრილ ქართულ ქულაჯებით გამართავს

**კონცერტს**

გორში—პარასკევს, 20 ივნისს, ღ. ზესტაფონში—შაბათს, 21 ივნისს, ქუთაისში—კვირას, 22 ივნისს, ღ. სამტრედიაში—ორშაბათს, 23 ივნისს, ღ. ახალ-სენაკში სამშ., 24 ივნისს, ფოთში—ოთხშაბათს, 25 ივნისს, ბათუმში—პარასკევს, 27 ივნისს, სოხუმში—კვირას, 29 ივნისს, ქობულეთში—სამშაბათ, 1 მკათათვეს ღ. ხაშურს—ოთხშაბათს, 2 მკათათვეს.

(2—უ—1)

## მთავრობის განკარგულებანი

### მოამხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

საზოგადოების საშუალებანი.

§ 6. საზოგადოების საშუალებას შეადგენს: საადებ მიცემო და სათადარიგო თანხა.

§ 7. საადებ-მიცემო თანხას შეადგენს: წევრთა მიერ პირველ-დასაწყისს გარდასახადი ფული (§ 13);

ბ) საწევრო წილი (პაი) (§ 13),—და

გ) ის სესხი, რომელსაც საზოგადო კრების გარდაწყვეტილების თანახმად საზოგადოების გამგეობა აიღებს;

შენიშვნა: საზოგადოებისაგან ნაკისრი საზოგადო ჯამი ვალდებულებათა საზოგადოების წევრთა მიერ შეტანილ ფულსა და საწილო თანხას არ უნდა აღემატებოდეს.

§ 8. საადებ მიცემო თანხა საზოგადოების სავაჭრო ოპერაციებსა და მიმდინარე ხარჯს უნდა მოხმარდეს;

§ 9. სათადარიგო თანხას შეადგენს:

ა) საზოგადოების ოპერაციებს მოგებიდგან ყოველ წლიურად გადადებული ფული (§ 55);

ბ) ფული, რომელიც საზოგადოების წესდებისა და საანგარიშო წიგნების გასყიდვისაგან შემოვა (§ 15);

გ) კაპიკების ნაწილაკები, რომლებიც მოგების განაწილებიდგან დარჩება (შენიშვნა 4 § 55-ისა);

დ) სათადარიგო თანხის სარგებელი (§ 11),—და

ე) შემთხვევით შემოსული ფული.

§ 10. სათადარიგო თანხის დანიშნულებაა—შეავსოს ის ზარალი, რომელიც მოულოდნელ გარემოებათა გამო საზოგადოების ოპერაციებს შეიძლება მოუვიდეს.

§ 11. საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, სათადარიგო თანხა შეიძლება სახელმწიფო და სახელმწიფოს-მიერ უზრუნველ-ყოფილ სარგებლიან ქაღალდებზედ იქმნას გადაცვლილი და შემნახველს კასსებსა, სახელმწიფო ბანკსა, მისს განყოფილებებსა და ჯეროვანის ნებართვით აგრეთვე სახაზინოებშიაც ინახებოდეს. სათადარიგო თანხის დახარჯვა, თანახმად მისის დანიშნულებისა (§ 10), მხოლოდ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით შეიძლება.

საზოგადო წევრთა უფლებანი და მოვალეობანი.

§ 12. საზოგადოების წევრებად (მსახურნი, ან აქა-და-აქ მცხოვრებთა ამა და ამ დაწესებულებაში) მიიღებიან ისინი, რომელნიც ხსენებულის წესდების**) სავსებით შესრულებაზედ თანხმობას განაცხადებენ.

შენიშვნა 1. წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია.

შენიშვნა 2. საზოგადოების წევრებად არ მიიღებიან:

ა) სხვა-და-სხვა სასწავლებლების მოსწავლენი; ბ) სამხედრო სამსახურში მყოფნი ჯარის-კაცნი და გ) ისინი, ვისაც სასამართლოს გარდაწყვეტილებით უფლებანი ჩამორთმეული აქვს.

გ მუხლი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაირღვეს, თუ საზოგადოება ისეთს ადგილას ჰმოქმედებს, რომელიც ამ მუხლში მოხსენებულთა დასასახლებლად არის დანიშნული;

§ 13. წევრად შემსვლელმა უნდა შეიტანოს: ა) პირველ-დაწყებითი გარდასახადი (არა უმეტეს 3 მან.) და ბ) წილის ფული (არა უმეტეს 10 მან.);

შენიშვნა. საწევრო წილი შეიძლება ერთად, ან ნაწილ ნაწილად იქმნას შეტანილი დანიშნულ ვადამდე, რომელსაც საზოგადო კრება გარდასწყვეტს.

§ 14. წილის რაოდენობა, თუ ერთს წევრს რამდენის წილის აღება შეუძლიან, საზოგადო კრებაზედ დამოკიდებული.

§ 15. თითოეულს წევრს საზოგადოებაში შესვლისათანავე საზოგადო კრების-მიერ დადგენილ ფასად გამგეობისაგან ეძლევა ხსენებული წესდება და საანგარიშო წიგნაკი, რომლებშიაც იწერება, როგორც წევრის-მიერ საზოგადოებაში შეტანილი ფული, აგრეთვე ნავაჭრის ღირებულობა, წილის ხვედრი დივიდენდი, საზოგადოების საწყობებიდგან წაღებულ საქონლის პრემია და საზოგადოების კასიდგან წევრის მიერ მიღებული ფული.

შენიშვნა. წევრთა მიერ საზოგადოების საწყობებში წლის განმავლობაში ნავაჭრ საქონლის ღირებულობის ჩასაწერად საგანგებო წიგნები უნდა იყოს შემოღებული, სადაც თითოეულის წევრის მიერ ნავაჭრი ცალკე უნდა ჩაიწეროს.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია", № 121.

**) საზოგადოების წევრობა ყველას შეუძლიან, წოდებისა და სქესის განურჩევლად, აგრეთვე—ყოველგვარს საზოგადოებას, დაწესებულებას, ამხანაგობას, მუშათა გუნდს, სამზრუნველოს, სკოლასა და სხ.

## ახალი ამბავი

—

*** მთელი წელიწადი იქმნება, რაც ქალაქის გამგეობამ მოიწადინა ქალაქის განათება ელექტრონით და მიჰმართა სიმენსისა და გალსკეს ფირმას იმის შესატყობად, რა დაჯდება ასეთი განათებაო. პასუხი მოუვიდა გამგეობას და ელექტრონის განათების ფასი ძლიერ ეძვირა.

ეხლა ქალაქის გამგეობა ჰფიქრობს, ჯერ ჯერობით ელექტრონით გაანათოს კერძო კაცების და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა სახლები, აქედგან აღებულ ფულს მიუმატოს ქალაქის ფული და თანდათანობით გაანათოს ქუჩები. ქალაქის გამგეობამ კვლავ მიჰმართა სიმენსისა და გალსკეს ფირმას და სთხოვა შეგვატყობინეთო: 1) რა დაჯდება ელექტრონის სადგურის გამართვა იმ ანგარიშით, რომ შეიძლებოდეს სახლების განათება 2000 ელექტრონის ლამპარით იმ პირობით, რომ თითო ლამპარს 16 სანთლის სინათლე ჰქონდეს და აგრეთვე 160 ქუჩის ლამპარი, იმ პირობით, რომ თითო ამ ლამპარსა ჰქონდეს 600—800 სანთლის სინათლე; 2) რა დაჯდება ასეთი განათება სახლებისა და ქუჩებისა. ამასთანავე სადგური ისეთი უნდა გაიმართოს, რომ ყოველ 3 წელიწადში

## ფელეტონი

—

### უცხოთა შორის

ესპანიელისთანა უდარდელი და დაუდევარი კაცი არსად არის.—საეკლესიო წარმოდგენები ესპანიაში.—მწერლები და მხატვრები.—ბუნების სიმდიდრე და ხალხის სიღარიბე.—ესპანიელს ვაჭრობა სძულს.—უფულობა, მოქრთამეობა და სოფლის სკოლა.—უცხოელნი ესპანიაში.—გზები, ურემი და ჯორები.—მადრიდი და აქაური ჰავა.—პუარტე-დელ-სოლ.—ესპანიელი მთელ დღეს დახეტიალობს.—„სერენო".

მეტად მხიარული ქვეყანა ყოფილა ესპანია. საღამოთი, საითაც მიიხედავ, გიტარისა და სიმღერის ხმა ისმის. სწორედ გასაოცარია, რა ძლიერ უყვართ ესპანიელებს სიმღერა და ცეკვა. სადმე ერთს ალაგას რომ ცეკვა გაიმართოს ქუჩაში, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა იქით მიეშურება. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ესპანია სიმღერისა, ცეკვისა, გიტარისა, გასაოცარ ლამაზ ქალებისა, ყვავილებისა და სიყვარულის ქვეყანაა.

ესპანელი მეტად თავაზიანი და ზრდილი კაცია და ამასთან ამაყი, დიდ-გულა და შეუპოვარი. სულ ცოტა რამ საკმარისია, რომ ესპანელმა ჩხუბი აგიტეხოს. სულ მცირე წყენისათვის ესპანელს პასუხი მზადა აქვს. ეს პასუხი ნავახაა (დანა). ესპანელის ხასიათის უპირველესი თვისებაა გულადობა, სიამაყე, დაუდევრობა და უშიშრობა. თვით სიკვდილისაც-კი არ ეშინიან ესპანელს და მუდამ ჟამს მზად არის გამოესალმოს წუთი-სოფელს. რაც უნდა ღარიბი იყოს ესპანელი და მშიერი რომ კვდებოდეს, წინაშე მდიდარისა და მძლავრის კაცისა ქედს არ მოიხრის, თავს არ დაიმცირებს და პირფერობას არ გასწევს არავისთან, ოქროთიც რომ აავსო. ქუჩა-ქუჩა იგლახავებს, ლუკმა პურს ითხოვს, მაგრამ თავს-კი არ დაიმცირებს და მდიდარს ყურ-მოჭრილ ყმად არ გაუხდება და პირ-მოთნეობით არ ასიამოვნებს. ესპანიელებისთანა მხიარული, ოხუჯი, სიტყვა-მოსწრებული, უდარდელი და დაუდევარი ხალხი სხვა არ მოიპოვება დედამიწის ზურგზედ. დღეს რასაც იშოვის ესპანელი, უეჭველად დღესვე უნდა შესჭამოს, ხვალისთვის არა ჰზრუნავს და თუ ხვალ გაუჭირდა, ამასაც ადვილად გაუძლებს და გულს დარდით არ გაიტეხს.

არც ერთს ხალხს არ უყვარს ისე მოძრაობა, ქუჩაში ხეტიალი და ყოველგვარი გასართობი, როგორც ესპანიელს. უკანასკნელს გროშს დაჰხარჯავს და თეატრში-კი მაინც წავა, დღეს დროს გაატარებს და ხვალ-კი... რაც იქმნება,—იყოსო. ასე გასინჯეთ, ვსპანიაში ეკკლესიაც-კი თეატრსა ჰგავს და წირვა-ლოცვა—წარმოდგენას. ყველაზედ დიდს პატივსა სცემენ აქ მადონნას (ღვთისმშობელს) და ხშირად დააქვთ ხოლმე ქუჩაში მისი ქანდაკება, ძვირფასის და უკანასკნელ მოდაზედ შემოსილ კაბებით. ძლიერ უყვართ ესპანელებს საეკკლესიო წარმოდგენები, განსაკუთრებით წარმოდგენა იესო ქრისტეს წამებისა და ჯვარ-ცმისა. ხალხი ისე აღელდება ხოლმე ამ წარმოდგენის დროს, რომ კარგა ლაზათიანად მიბერტყამს ხოლმე პილატესი, ფარისეველთა და სადუკეველთა როლების ამსრულებლებს. ვინც იუდას წარმოადგენს, იმას ხომ სულ გვერდებს ჩაამტვრევენ ხოლმე.

ესპანია განთქმულია სახელოვანის მწერლებით; ყველაზედ დიდი სახელი მოიხვეჭა ცნობილმა მწერალმა სერვანტესმა. მისი უკვდავი თხზულება—დონ-კიხოტი ყველა ენებზედ არის გადათარგმნილი, მაგრამ უფრო ძლიერ განთქმულია ესპანია სახელოვანის მხატვრებით: მურილიო, ველასკეზი, ზურბარანო და სხვანი მრავალნი საუკეთესო მხატვრებად ითვლებიან მთელს ქვეყანაზედ. ესპანიაში მრავალი მუზეი და სასახლე სავსეა საუკეთესო მხატვრობით. გარდა ამისა ესპანიაში მრავალი საისტორიო ჩინებული ნაწარმოებია ძველის ხელოვნებისა. ეს საკვირველი არ არის, რადგანაც ძველის-ძველ დროიდგან აქ მრავალ ტომის ხალხი სცხოვრობდა: კელტნი, ფინიკიელნი, კართაგენელნი, რომაელნი, არაბნი და სხვ. ზოგიერთი ამ ტომის ხალხი მთელის საუკუნოებით სცხოვრობდა აქ და დასტოვა მრავალი ნაწარმოები უწინდელ ხელობისა, გააშენა ჩინებული ქალაქები და გადასჭიმა სასახლეები. გარნა ისეთი მშვენიერნი შენობანი, სასახლეები და ბაღები არავის გაუშენებია, როგორც არაბებს.

ისპანიის საუკეთესო და მშვენიერი კუთხე ანდალუზია არის. აქ სწორედ რომ ღმერთს დაუბერტყია მადლიანი კალთა. ასეთს მდიდარსა და გასაოცრად მშვენიერს ბუნებას კაცი სხვაგან ვერსად შეხვდება.

საზოგადოდ მთელის ესპანიის მდებარეობა და ბუნება მეტად ჩინებულია. ერთ მხარეს ხმელთა-შუა ზღვა უძევს. მეორე მხარეს ატლანტიის ოკეანე. ესპანიაში მრავალი დიდრონი და მშვენიერი ქალაქებია. მრავალნი ნიჭიერნი მუშაკნი და სახელ-განთქმულნი მხატვარნი არიან. დედა-მიწა მეტად ნოყიერია და აქაური ბუნება მეტად უხვი. ღვინო და ზეთის ხილი აუარებელი მოდის. ესპანიის ფორთოხალი, ლიმონი, ბროწეული, ზეთის ხილი, ნუში და ყურძენი მთელს ქვეყანაზეა განთქმული. დედა-მიწის გული სავსეა სიმდიდრით. მთელს ქვეყანას კარგად მოეხსენება, რომ ესპანია ძლიერ მდიდარია ვერცხლისა და ვერცხლის წყლის მადნებით. აგრეთვე აუარებელია ტყვიისა, რკინისა და ქვის ნახშირის მადნები.

მაგრამ ესპანიის სიმდიდრე თვით ესპანიის ერს ვერ ამდიდრებს. ესპანია ისევ ისეთი ღარიბია, როგორც უწინდელ დროს ყოფილა; ერი ღატაკი და გაუნათლებელია, მრეწველობა დაქვეითებული, ვაჭრობა უცხოელების ხელშია ჩავარდნილი. მიწას ისევ ისე ამუშავებს ესპანიელი, როგორც ამ ასისა და ორასის წლის წინად ამუშავებდა, სოფლის ხალხსა და ქარხნის მუშებს სიმშილით ამოსდით სული. ამ მიზეზისა გამო მრავალი ესპანიელი გადასახლებულა თვისის ქვეყნიდგან, თუმცა მისს სამშობლოზედ უკეთესი ქვეყანა ბევრი არ მოიპოვება დედა-მიწაზე. ეს საკვირველიც არ არის. ამ საუკუნის დასაწყისში ესპანიის ერი წარმოადგენდა მხოლოდ ბერებსა, მწყემსებსა და ჯარის კაცებს. მუშაობისთვის, ვაჭრობისთვის და მრეწველობისთვის არავისა სცხელოდა. ეხლანდელი ვითარებაც არაფრით გახლავთ მოსაწონი. ერთს მხარეს ესპანიისას მეორე მხარე ეჯავრება და სძულს. ფული ნაკლებად ტრიალებს, ხალხი ღარიბია, დიდი მოხელენი უღმერთოდ იღებენ ქრთამებს, მცირე ხარისხის მოხელეებს მთავრობა დროზედ ვერ აძლევს ჯამაგირს და სიმშილით იხოცებიან. მრავალმა სოფლის მასწავლებელმა ვერ აიტანა სიღარიბე, დაჰკეტა სკოლა, კარ-და-კარ დაიარება და მოწყალებას თხოულობს.

ამ უკანასკნელ დროს ცოტათი უკეთესობა დაეტყო ესპანიის ცხოვრებას. ვაჭრობა თუმცა ეხლაც ეჯავრებათ ესპანიელებს, მაგრამ ისე აღარ,

შეიძლებოდეს 1,000 სახლის ლამპარისა და 50 ქუჩის ლამპარის მომატება.

დასასრულ ქალაქის გამგეობა სწერს, რომ ელექტრონის სადგურისათვის შესაძლებელია კაცმა ისარგებლოს მტკვრის ძალით, რადგანაც ამ მდინარის კალაპოტს ქალაქში 0,003 საჟენის დაღმართი აქვს. დასასრულ გამგეობა სთხოვს ზემოხსენებულ ფირმას, თქვენი პირობები შეგვატყობინეთ, რა პირობითაც შეგიძლიანთ ქალაქი ელექტრონით გაგვინათოთო.

⁂ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა ჰგზავნის ქუთაისში ა. ა. გარსევანიშვილს და მდივანს დ. კარიჭაშვილს სათავად-აზნაურო სკოლის კასსის და ანგარიშის სარევიზიოდ.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელს, წმ. ნინოს ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობისა გამო, დაუმტკიცებია: გენერალ-ლეიტენანტის ზეზემანის მეუღლე ამალია ანდრიას ასული ხსენებულის საზოგადოების საბჭოს წევრ-ქალად და თელავის მაზრის უფროსის მეუღლე სოფიო სტანისლავის ასული განსევიჩისა იმავე საზოგადოების ადგილობრივი გამგეობის თავმჯდომარედ.

⁂ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების გარდაწყვეტილებების შესახებ წარდგენილი საჩივარი ტფილისის გუბერნატორმა გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლს გაუგზავნა. თავად-აზნაურთა წინამძღოლს ხსენებული საჩივარი თავისის განმარტებით უკვე წარუდგენია, სადაც ჯერ არს.

⁂ ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს უკანასკნელი სხდომა ივნისის 19 იყო დანიშნული; შემდეგი სხდომები შემოდგომამდის აღარ იქმნება.

⁂ როგორც შევიტყეთ, ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწე სტ. სოვეტნ. სოკოლოვსკი თანამდებობას თურმე თავს ანებებს.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქს განზრახვა თურმე აქვს სტავროპოლის გუბერნიასა, ან თერგისა და ყუბანის ოლქში საპასწავლებლო სემინარია დააარსოს.

⁂ 20 ივნისს, ღამის 11 საათზედ, მუხრანის ქუჩაზედ, მესროპოვის სახლში, აღმოაჩინეს, რომ ჩუმად უხოცნიათ წვრილ-ფეხი საქონელი ყასაბს მიხაკო მეღალოვს. ცხრა დაკლული ცხვარი ჩამოართვეს და საყასბოში გაჰგზავნეს შესამოწმებლად. ყასაბს საქონლის ჩუმად ხოცვისა და იმისს სახლის პატრონს—ეზოს უსუფთაოდ შენახვისათვის ოქმი შეუდგინეს და სასამართლოს გარდასცეს.

⁂ მინდვრის თაგვებთან საბრძოლველად კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის სამეურნეო სამინისტროს ინსტრუქცია გამოუგზავნია იმის შესახებ, თუ რა საშუალება უნდა იხმარონ თაგვების მოსასპობად. ხოლო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თხოვნა იმის შესახებ, რომ სამინისტროს ამ საქმის სპეციალისტი გამოეგზავნა, ვერ დაუკმაყოფილებია, რადგანაც ამ ჟამად სამინისტროს არც ერთი თავისუფალი სპეციალისტი არა ჰყოლია.

⁂ როგორც ანგარიშიდგანა სჩანს კავკასიის რკინის გზის მომხმარებელს საზოგადოებას 1897 წლის 1-ლ იანვრამდე 2,850 წევრი ჰყოლია. საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას 425,493 მან. და 82 კ. სავაჭრო საქონელი უყიდნია, ხოლო გაუყიდნია სულ 349,056 მან. და 61 კაპეიკისა.

⁂ კ. ა. კრაუზეს სამეურნეო მანქანებისა და იარაღის საწყობს ტფილისში კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის მიუმართავს, რომ მომავალის წლისათვის ვენახების წამლობისათვის საჭირო აპპარატებს გამოვიწერ საზღვარ-გარეთიდგან, თუ რომ მევენახეებთან შუამდგომლობას გაგვიწევთ, რომ ხსენებული აპპარატები შეიძინონო.

⁂ ქუთაისის ოლქის სასამართლო აცხადებს, რომ ქუთაისის ქალაქის ნოტარიუსის გაბაშვილის სიკვდილის გამო, ვისაც ამ თანამდებობის მიღება უნდა, თავისი სურვილი ამ ერთის თვის განმავლობაში უნდა განაცხადოს. გირაოდ საჭიროა 6,000 მან. იგივე სასამართლო სთხოვს ყველა იმათ, ვისიც გაბაშვილს ემართა რამე და რომელნიც დაკმაყოფილებულ უნდა იქმნან გირაოს ფულიდგან, განუცხადონ ეს ოლქის სასამართლოს ამ ექვსის თვის განმავლობაში.

⁂ მომავალ სასწავლო წლიდგან ქუთაისის სასულიერო სემინარიას თავის სასახლის ეკკლესია ექნება. ამ ხარჯისთვის სემინარიის მთავრობამ უკვე მიიღო 3000 მან. უწ. სინოდისაგან, „მწყემსი“.

⁂ გამოცხადებულია, რომ ვისაც პასპორტი არ ექმნება და ან ვადა გასულის პასპორტით იცხოვრებს, იგი პასუხის-გებაში იქმნება მიცემული სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების მე-1220 მუხ. წესისამებრ და დაისჯება სასჯელთა წესდების მე-61 მუხლის ძალითა.

⁂ ტფილისის ქალაქის საბჭოს ერთს სხდომაზედ საქალაქო გარდასახადთა საკრებულოს წევრად არჩეულ იქმნა ო. მ. ასიტოვი. იმ ქაღალდზედ, რომელზედაც ამორჩეულთა სახელსა და გვარსა სწერავენ, ასიტოვის სახელისა და მამის სახელის აღსანიშნავად ეწერა „ფ. მ.“ პოლიციას შეუტყობინებია, რომ ტფილისში არც ფ. მ. და არც ო. მ. არა სცხოვრობსო. შემდეგ ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელს შეეკითხნენ ამ საქმის თაობაზედ და მან გამოაცხადა, რომ ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულ ასიტოვის სახელსა და გვარს არაფერი საერთო არა აქვს იმ სახელსა და გვართან, რომელიც საბჭოს ჟურნალში და ამომრჩეველთა ქაღალდშია აღნიშნულიო. ამ რიგად ვერ გამოარკვიეს, რომელი ასიტოვი ამოარჩია ქალაქის საბჭომ და სადა სცხოვრობს იგი.

⁂ მთავარ-მართებლის კანცელარიას კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსათვის მიუმართნია, რომ ყოველივე საჭირო ცნობები კავკასიის გზების შესახებ, რაცკი საზოგადოებას დღეს ხელთა აქვს, წარუდგინოს მას და აგრეთვე თავისი მოსაზრებაც იმის შესახებ, თუ ადგილობრივის წარმოების გასაუმჯობესებლადა და ხალხში სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად რა საშუალება უნდა იხმაროს მთავრობამ.

⁂ შუამდგომლობაა აღძრული, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახში სამკითხველო იქმნას დაარსებული.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოში საჩივარი შეუტანიათ ვასილ მამიკონოვზედ, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდება.

⁂ გუშინ, 20 ივნისს, ახლად შემდგარი ქართული ხორო ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით და ბ. მჭედლიშვილის გამგეობით გაემგზავრა საქართველოს სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქებში კონცერტების გასამართავად. პირველ კონცერტს ხორო ქ. გორში გაჰმართავს.

⁂ ამ ჟამად ტფილისის გუბერნატორი საგანგებო კომისიას თურმე ადგენს, რომელსაც ს. ნაფარეულის ჰაობების ამოშრობა დაევალება. საწყლე დაწესებულებიდგან ამ კომისიაში ინჟენერი-გიდრავლიკოსი ბ-ნი დენისოვი მიიღებს მონაწილეობას.

⁂ სამეურნეო მინისტრისაგან ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგედ ბ-ნის კრავჩენკოს დანიშვნა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომაც შეიწყნარა, მაგრამ საზოგადოების პრეზიდენტს, კავკასიის მთავარ მართებელს თავადს გოლიცინს სთხოვს ახლა, რომ სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა გაუწიოს და შემდეგისთვის მაინც არ მოესპოს საზოგადოებას წესდების მე-20 მუხლის ძალით მინიჭებული უფლება, რომელიც ამ ჟამად დარღვეულ იქმნა და რომლის ძალითაც სკოლის გამგეს დანიშვნა თვით საბჭოზედვე დამოკიდებული.

⁂ 19 ივნისს, ბარიათინსკის ქუჩაზედ, სივრის მაღაზიის სახელოსნოში ხეზედ ამომჭრელმა ალექსანდრე ბრიკნერმა რევოლვერი დაიცა და თავი მოიკლა. როგორც ფიქრობენ,

---

როგორც უწინ. მრეწველობა ნელნელა ფეხს იკიდებს. ყოველივე ეს უცხოელების წყალობით მოხდა, რომლებმაც დამართეს ესპანიაში ქარხნები და ვაჭრობას მოჰკიდეს ხელი. მაგრამ რა გამოვიდა? ფულს უცხოელნი იგებენ და ესპანელნი ისევ ისე ღარიბნი და ღატაკნი არიან. მაინც ესპანიას ამ უკანასკნელ 25—30 წლებში დიდი უკეთესობა დაეტყო.

იმ ადგილებში, სადაც ჯერ რკინის გზა არ არის გამართული, მცხოვრებნი ეხლაც ურმით დადიან. ესპანიურ ურემს, ჩვენებურ ურმისავით, ორი თვალი აქვს და ხარებს აბამენ. თვლების საშინელი ჭრიალი სწორედ რომ ყურებს გამოუჭედავს კაცსა. ზოგიერთ ადგილებში საქონელი ჯორებით დააქვთ. ეტლშიაც აბამენ ჯორებს და ისე მოგზაურობენ.

ესპანიის სატახტო ქალაქი მადრიდია. თუმცა ქალაქი ძლიერ ლამაზია, მაგრამ აქ ცხოვრება, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი სასიამოვნოა. ჰავა მეტად მკაცრია. გვადარამის მთის ნიავი ძლიერ ცივაა. მეტად საშიშია ეს ნიავი ზაფხულობით, როდესაც სიცხე პატანაქების დროს დაჰქროლავს ხოლმე. მზე საშინლადა სწვავს ქვეყანას, ამ დროს წამოჰქროლავს ყინულსავით ცივი ნიავი, ხალხი ცივდება და ასობით ხდება ავად ფილტვების ანთებით. აქაური ჰაერი თუმცა სუფთაა, მაგრამ მეტად ხმელია, წვიმა იშვიათად იცის. გაზაფხული და შემოდგომა თითქმის არ არის. მთელი ცხრა თვე ზაფხულია და ისეთი სიცხე-პაპანაქებაა, რომ ადამიანს სუნთქვა უძნელდება. სამ თვეს-კი მკაცრი ზამთარია. სახლები ისეა მოწყობილი, რომ სიცხის ატანა შეიძლებოდეს. იატაკი ყველგან ქვისაა. ფანჯრები დილით საღამომდე დარაბებით არის მიხურული. მადრიდის მცხოვრები ზაფხულში სიცხით იტანჯება დი ზამთარში სიცივით. სახლებში ღუმელისა ან ბუხარის ხსენებაც არ არის. აქ მხოლოდ ბრასეროსა ჰხმარობენ გასათბობად (ბრასერო ჩვენებური მაყალია).

საზოგადოდ ესპანიელსა და კერძოდ მადრიდის მცხოვრებს შინ ჯდომა არ უყვარს, მეტადრე ზამთარში. ცოტა ხანს გათბება ბრასეროსთან მერე წამოისხამს კაპას (დიდი წამოსასხამია) და გაშვება სახლიდგან. კაპას მარჯვენა წვერს კოხტად გადიგდებს მარცხენა მხარეზედ, სახეს თვალებამდე აიფარებს, ჩამოიფხატავს ქუდსა და მთელ დღეს დაეხეტება ქუჩაში.

მადრიდში შესანიშნავი ადგილია პუერტა-დელ-სოლი. ეს დიდი მოედანი გახლავთ შუაგულ ადგილში. რა ქუჩასაც უნდა დაადგეთ მადრიდში, უეჭველად ამ მოედანზედ გამოხვალთ. ზამთარ-ზაფხულ აქ ხალხი ბუზივით ირევა. ზამთარში ეს დიდი მოედანი დილიდგან საღამომდე ხალხით არის სავსე, ზაფხულში საღამოდგან დაწყებილი გათენებამდე. ყველა მხარეს გაისმის მხიარული სიცილი, ქალების კასკასი, გაცხარებული ბაასი, ხუმრობა, სიმღერა, გიტარის ხმა. აქა-იქ დგანან ტკბილეულისა, სასმელების, პაპიროსების და წვრილმანის გამყიდველნი. დუქნები სავსეა მარაოებითა და გიტარებით.

ყოვლად შეუძლებელია, რომ მადრიდის მცხოვრები დღეში ერთხელ მაინც არ მოვიდეს პუერტა-დელ-სოლის მოედანზედ. აქ გაიგებს ახალს ამბავს, ჭორს, ჰნახავს ნაცნობებს. თუ მადრიდში რაიმე უწესოების მოხდენა მზადდება, ან სხვა-და-სხვა დასებ შორის გამწვავება უნდა მოხდეს, ყოველივე ეს პუერტა-დელ-სოლიდგან იწყება. ესპანიაში ისეა გავრცელებული სხვა-და-სხვა დასებ შორის უთანხმოება და ათასგვარი დავიდარაბა, რომ ამ ქვეყანას უდავიდარაბოდ კაცი ვერც-კი წარმოიდგენს. ყოველგვარ აყალ-მაყალისა და საპოლიტიკო ამბავს პუერტა-დელ-სოლის მოედანზედ შეიტყობს კაცი. ესპანიელი და მეტადრე მადრიდელი ყველა დიდი პოლიტიკოსი ბრძანდება. ყველა დასის წარმომადგენელი და ამა თუ იმ დასის მომხრე ამ მოედანზედ იკრიფება, აქ ბაასობენ და ხშირად ჩხუბობენ კიდეც. რაც უნდა ღარიბი და ცუდად ჩაცმული იყოს ესპანიელი, არავისი ერიდება, პირდა-პირ მივა მდიდარსა და უმაღლეს წოდების კაცთან, ამოიღებს ჯიბიდგან პაპიროსს და სთხოვს, ნება მიბოძეთ მოვუკიდოვო. ისიც თავაზიანათ მიართმევს ანთებულს პაპიროსს. მერე პოლიტიკაზედ გაუბავს მასლაათს. მდიდარი კაცი სრულებით არა თაკილობს ღარიბთან ლაპარაკსა.

საითაც მიიხედავთ, ყველას სახეზედ ეტყობა სიხარული, ყველა მზად არის დაგელაპარაკოთ, დაგეხმაუროთ. უცხოელი რომ მოდის მადრიდში, პირველ დღესვე ავიწყდება, რომ უცხო ქვეყანაში ვარო. სხვებთან ერთად დარბის ქუჩებში და მთელ დღეებს პუერტა-დელ-სოლში ატარებს. ისეთს მხიარულს ადგილს, როგორიც პუერტა-დელ-სოლია, სხვაგან ვერსად შეხვდება კაცი. ერთს ადგილას ვაჭრები იკრიბებიან, მეორეში—მოხელეები, არტისტი ქალები, სტუდენტები; აქ ვაჭრობენ, იქ ქალებს ეარშიყებიან. ერთს კუთხეში გაზეთებს კითხულობენ, მეორე ადგილას გაცხარებული ბაასია. აქეთ გიტარას უკრავენ და ცეკვამენ. ერთის სიტყვით, ასე გეგონებათ, ყოველ-დღე დიდი უქმე და დღესასწაული არისო.

აქ-იქ დარბის თვალ ჟუჟუნა გოგონა და ფორთოხალს ჰყიდის. ბიჭებს ცივი წყალი დააქვთ გასასყიდად და ჰყვირიან: „ცივ-ცივი წყალი, წმინდა, როგორც ღვთის-მშობლის ცრემლი, ცივი, როგორც გვადარამის ყინული, სასიამოვნო, როგორც ქალწულის ბაგენი!“ აქ ყველა ვაჭარი და ქუჩის ბიჭებიც-კი ძლიერ მჭევრმეტყველნი არიან.

ისე რომ დაიღლება ხეტიალით ესპანიელი, რომ ფეხზედ დგომა აღარ შეუძლიან, ეხლა ყავახანაში გასწევს. აქაც მხიარულად ატარებს დროს. კითხულობს გაზეთებს, სვამს ყავას, სტკბება მუსიკით ცოტათი დაისვენებს და ისევ პუერტე-დელ-სოლისაკენ გასწევს, თითქოს დაბარებული იყოსო. ესპანელს ლოთობა არ უყვარს. არც ერთს ხალხს არ ეჯავრება ისე სიმთვრალე, როგორც ესპანიელს. მთვრალს კაცს ძლიერ იშვიათად შეჰხვდებით. ერთ-ორ ჭიქა ღვინოს თუ დალევს დღეში, ეს არის და ეს. მაგრამ სხვა-და-სხვა ცივს სასმელს-კი აუარებელსა სვამენ. ერთს სასმელს სახელად „ახალგაზდობის ელექსირი“ ჰქვიან, მეორეს—„გაზაფხულის დილა“ და სხვ. ამ გვარი. ცივს წყალს უფრო ბევრსა სვამენ.

დილიდგან შუაღამემდე ხეტიალით დაღლილი და დაქანცული ესპანიელი ბოლოს შინ მიდის დასაძინებლად. ვსთქვათ, სახლის კარის გასაღები ყავახანაში ან სხვაგან დაავიწყდა, ან ამხანაგსა აქვს. ამაზედ არ შეწუხდება. საკმარისია მხოლოდ ერთხელ დაიძახოს: „სერენო“! (ჩვენებური ასასი, ყარაული)· იმ წამსვე გაჩნდება კაცი, ხელში ფარანი უჭირავს და იმ ქუჩის ყველა სახლის გასაღები. თითო ქუჩა თითო სერენოს აბარია. თვეში 30—40 კაპ. მისცემთ და შეგიძლიანთ ჯიბით აღარ ატაროთ გასაღები. თუ ვინიცობაა სახლს ცეცხლი წაეკიდა ან ქურდი გეწვიათ, საკმარისია ფანჯრიდგან დაიძახოთ: „არიქა, მიშველე, სერენო.“ იმ წამსვე თქვენის ქუჩის სერენო დაუსტვენს და მთელის უბნის სერენოები ერთს წუთზედ გაჩნდებიან თქვენს სახლში. ღამე ყოველ საათს სერენო მთელს ქუჩას შემოივლის და გატყობინებთ, რა დროა და რა დარი დგას.

ა. ნ.

ბრიკნერი სულით ავადმყოფი უნდა ყოფილიყოს.

*** ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი აცხადებს გაზ. „კავკას“-ში, რომ რადგანაც საფოსტო სადგური ამ ჟამად რკინის გზის სადგურის მახლობლად არის, ე. ი. დ. ბორჯომიდგან სამის ვერსის სიშორეზედ, იქ დეპეშები არ მიდის და ეტლები თავისს დროზედ ვერა მზადდება. უმორჩილესად ვთხოვ ყველა მგზავრს, ვინც ახალციხესა, ან აბასთუმანში მიდის და ვინც ცხენებს დეპეშით შეუკვეთამს ხოლმე, ადრესი ამ დეპეშებს დააწეროს „ბორჯომის“ მაგიერ „ბორჯომი—სადგურიო“.

*** ამ დღეებში ტფილისის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს მეორე ნაწილი (ახალი, მეოთხე გამოცემა) განუხილავს და მთელის საექსარხოსო სამრევლო სკოლებში სახმარებლად მოუწონებია. საეპარქიო საბჭოს ეს გარდაწყვეტილება საქართველოს ექსარხოსს ვლადიმირს დაუმტკიცებია.

*** „მწყემსი“ სწერს: ნამდვილის წყაროდგან შევიტყეთ, რომ უწ. სინოდს თავისს თავზედ მიუღია ის ექვსი ათასი მანეთი, რომელიც ქუთაისის სასულიერო სემინარიას უნდა მისცემოდა იმერეთის ეპარქიის საეკლესიო ხაზინიდგან და შემდეგ სამღვდელოებას უნდა შეევსო ეს ნაკლი თავის საშუალებათაგან.

*** ქ. ქუთაისი. ამ მოკლე ხანში ქ. ქუთაისში გამართული იქმნება წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით. შემოსავალი ამ წარმოდგენიდან დანიშნულია რამდენისამე ქართველ ღარიბ მოსწავლეს სასარგებლოდ, რომელნიც უცხოეთში იმყოფებიან და ქონებრივად დაქვეითებულნი იღებენ უმაღლესს სწავლას. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტები ქართულის თეატრისა, მომღერალნი, საყვარელი პოეტი და სხვანი. საღამო ძლიერ საინტერესო იქნება. იმედია ქუთაისის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგებება ამ ამბავს და არ დაიშურებს თავის წვლილს.

*** ს. მიქელ-გაბრიელი (გურია). ორის თვის გამუდმებულ გვალვების შემდეგ 15 ივნისს მოვიდა ნამდვილი კოკისპირული წვიმა. ღელეები, სადაც, როგორც აქ იტყვიან, „ყვაქიჭაიც ფეხს ვერ დაისველებს“, ნაპირებიდგან გადმოვიდა. მშვენივრად მობიბინე აღაღანებული სიმინდის ყანები სილა-ქვიშა-შლამმა ქვეშ მოიტანა, ბევრი „საყვირში შესული“ სიმინდის ყანები ერთიანად დახვეტა, ჩვენი წლევანდელი ნამუშევარი, ჩვენი სიხარული, „ტალახა-მერეების“ სიმინდი იყო; „ზეგანი“ გვალვამ ამოწვა; ახლა-კი „მერეებ“ ზედ წყალ-დიდობამ აგვაღებინა ხელი. ეს-ღა გვაკლდა... ერთხელ კიდევ შეგვება განრისხებული ბუნება. ტყე აღარ არის, წვიმა ვერ შეკავებულა და ნიაღვრად მოვარდნილი წყალი ყოველ წამს წალეკვას გვიქადის. მდ. სუფსა ბევრს ადგილას ნაპირებიდგან გადმოვიდა და აბიბინებულს მწვანე სიმინდს შლამს ქვეშ უპოვა ბინა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ზუგდიდი.** (სამეგრელო), 10 ივნისი. ერთად-ერთ წყაროდ ჩვენის სიმდიდრისა, ჩვენის ცხოვრების მრავალნაირ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დღემდე მეგრელებს მარტო სიმინდი მიგვაჩნდა. ამ ბოლოს დრომდე ადებ-მიცემობის ბარხს ჩვენში ყოველგან სიმინდი ატრიალებდა და ამიტომაც იყო, რომ ყველგან სიმინდი ისე ბლომად ითესებოდა, რომ ისედაც გაჭირვებულს და ღარიბს საქონელს საბალახოდ ცოტა-და ადგილი რჩებოდა. თუ მეგრელი წარსულ წლებს თავისს ნათესარის თითო ფუთის სიმინდის 50—60 კაპეიკად გაყიდვას შესძლებდა, ეს უთუოდ იმისთვის დიდი განძი იყო, დიდი სიხარული, რადგან ამ გზით მეგრელი საზოგადო და ცხოვრების კერძო მოთხოვნილებას ასე თუ ისე გვარიანად გაუძღვებოდა.

მაგრამ დღეს ცხოვრებამ ფერი იცვალა, ამ ცვლილებამ დაბადა მრავალი სხვა-და-სხვა საჭიროება, რომელიც შესაფერ ბრძოლასა და ცოდნას თხოულობს, ჩვენ-კი, მეგრელები, ჯერ ისევ მამა-პაპათა გზა-კვალს ვადგევართ და არას გზით არ გვსურს, სადაც საჭიროა, ძველი კანი გამოვიცვალოთ, ცხოვრებას სულ სხვა თვალით შევხედოთ, დავუკვირდეთ და შევიგნოთ, თუ სად იმალება დღეს უმთავრესი მიზეზი ჩვენის ასეთის საშინელის ეკონომიურად დაქვეითებისა? დღეს ყველგან ერთხმად გაიძახიან: „დაიღუპა სიმინდის ფასი, და ჩვენც დავიღუპეთო!“ რასაკვირველია, ყოვლად შეუგნებელსა და თვალახვეულს ხალხს უსათუოდ დაღუპვა მოელის, თუ დროზედ არ გამოიღვიძა, საშინელის უმეცრების ჯაჭვი, რომელიც მას ხელ-ფეხს უბორკავს, თუ არ დაამსხვრია!..

მეგრელებს ვერას გზით ვერ დავარწმუნებთ, რომ თამბაქოს და მამბის მოყვანას, მეფუტკრეობას, მევენახეობას, შინაურ საქონლისა და ფრინველის მოშენებას და სხვა მრავალ სასარგებლო მეურნეობას თუ მიჰყვეს ხელი, ყველა სიმინდზედ გაცილებით უფრო მეტს ხეირს მოუტანს. მეაბრეშუმეობა, როგორც ეტყობა, მეგრელებს ძლიერ შეჰყვარებიათ და ამიტომაა, რომ წრეულს იმათი შრომა ამ ასპარეზზედ ისეთის ღირსეულის ნაყოფით დაგვირგვინდა. აბრეშუმის პარკი წრეულს ზუგდიდის მაზრაში ბლომად მოვიდა, ფასიც გაცილებით მეტია, ვიდრე წარსულ წლებში: ფუთი 9-დან 11 მანეთამდე იყიდება, თუ ჩვენი მეაბრეშუმეები წონაში არ სტყუვდებიან!

უნდა შევნიშნოთ, რომ წრეულს ზუგდიდში ბევრი ვაჭართაგანი გაკოტრდა, „ქესატობისა“ გამო, ბევრმა დაჰკეტა დუქნის კარები, მაგრამ მეაბრეშუმეობის წყალობით ახლა თითქმის ყველას თითო-ოროლა გროში ჯიბეში უჩხავს, რის გამოც ხალხს შრომის სურვილი უხალისდება; ვაჭრობას უფრო სიცხოველე და ფაცი-ფუცი დაეტყო, ყველგან დიდი მოძრაობაა და სიხარული; ვაჭრებმა საშინელის ქესატობის გამო ნამტირალევი თვალები გამოაშრეტეს და ისევ მკვლელებურად დაიწყეს ყურების ცქვიტინი. ფრიად სასურველია, რომ მეგრელები, როგორც მეაბრეშუმეობის, ისე სხვა მეურნეობის სარგებლობას შეიგნებდნენ და თავისს უნუგეშო ეკონომიურს მდგომარეობას გაიუმჯობესებდნენ!

დასასრულ ვიტყვით, რომ იმისთანა მივარდნილი და მიყრუებული დაბა, როგორიც არის ჩვენი ზუგდიდი, არა გვგონია სხვაგან იყოს სადმე საქართველოში. აქ საზოგადოდ, ცხოვრება სულ ერთ გვარად მიმდინარეობს. ყველას შუბლზედ მოწყენისა და მოსხნების ბეჭედი აზის. მთელი წელიწადი ისე გაივლის, რომ ვერც ერთს წარმოდგენასა და უბრალო საღამოსაც-კი ვერ ეღირსება აქაური საზოგადოება, მხოლოდ ბულვარში ხანდახან მოქეიფე „ბიჭუკები“ ოროლას თუ აჭყვიტინებენ. სწავლა-განათლებისა ხომ რა მოგახსენოთ!..

ზუგდიდში არის ორი თანასწორ გაყვანილი ბულვარი, რომელსაც ორი საყანე განი აქვს და სიგრძით-კი ნახევარ ვერსზე გაჭიმული. ამ ბულვარს შუაში ჩამოუდის მდ. ჩხოუში, სადაც ბაყაყები საღამოობით იმისთანა მშვენიერს კონცერტს ჰმართავენ, რომ მოსეირნე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები რჩება. ერთი ბულვარი მეორეს, იმ ადგილას, სადაც „საბაირაღოს“ (ქალაქის შუაგული) ეძახიან, აგურის ხიდით უერთდება. ეს ხიდი ალაგ-ალაგ ისე ჩამტვრეულია, რომ კაცს გასვლის დროს დიდი სიფრთხილე და სიმამაცე სჭირდება, რათა ფეხი არ დაუსხლტეს და შიგ წყალში ბრეგვა არ გაადინოს.

გუშინ-წინ, კვირას, ერთ ახალგაზდა ქალს ამ ხიდის ერთ-ერთ ნაპრალში ფეხი ჩაუსხლტა, აგურები ჩაინგრა და საწყალმა ქალმა ძალიან იტკინა ფეხი. თუ ღამე დაგჭირდათ ამ ხიდზედ გასვლა, უსათუოდ ფეხს მოიტეხთ ან კისერს, ნამეტნავად ბნელს ღამეებში, როცა ბულვარში ფარნებს ვერსად თვალითაც ვერ დაინახავთ. სასურველია, რომ ყურადღება მიაქციონ შუა-ბულვარის ხიდის გაჭირვებულს საქმეს და იმ გარემოებასაც, რომ შუაგულ ქალაქში მდ. ჩხოუში სიცხისაგან შეწუხებული ღორები და ძროხები ხანდახან თავისუფლად ტანის ბანაობასაც-კი იბებენ ხოლმე!..

მიხაკო ვერმიშანაშვილი

**სოფ. ოსიაური.** (გორის მაზრა). 16 ივნისს აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. სოფელში 13—14 წლის გოგოს, ევა კვერნაძეს, სადილი მიჰქონდა მუშაში. მინდორი, რომელიც უნდა გაევლო საბრალო გოგოს, სულ ყანებით არის სავსე. მებატონის შვილმა, რომელიც ვითომ და თავის ყანას უვლიდა, დაინახარა მარტოდ მიმავალი გოგო, გადაეღობა გზაზე, სტაცა ხელი და ყანისკენ მიათრევდა. ეს დედაკაცებმა დაინახეს და ყვირილი მორთეს: „გვიშველეთ, გოგო მოგვტაცესო“! ეს ყვირილი გოგოს პატრონებს გაუგიათ და გამოქცეულან მისაშველებლად. მიშველებია სხვათა შორის გლეხი ცაცო ლეკიშვილიც, რომელიც იქვე ახლო სიმინდს სთოხნიდა. ახალმოდის დონჟუანს რაკი დაუნახავს, საქმე ცუდად არისო, გოგოსთვის თავი მიუნებებია, თითონ-კი ყანაში მიმალულა. საწყალი გოგო გულ-შეწუხებული უპოვიათ და ძლივ-ძლიობით გონებაზედ მოუყვანიათ.

მაგრამ ამითი არ დასრულებულა ეს ამბავი. გოგოს პატრონები, რასაკვირველია, არ შეარჩენდნენ და დაუწყიათ ძებნა თავადიშვილისა ყანაში. დიდი დრო არ მოსდომია ამ ძებნას: იგი იპოვნეს თურმე იქვე ყანაში, დაიჭირეს და წამოიყვანეს სოფლისკენ. ეს ამბავი გაიგო იმისმა ძმამ. ესეც შეიარაღებული დახვდა გლეხებს გზაში და აუტეხა ჩხუბი: როგორ თუ თქვენ ხელი ახლეით ჩემს ძმასაო, და დასჭრა ხანჯლით გლეხი ცაცო ლეკიშვილი. ლეკიშვილი სამგან არის დაჭრილი: მარჯვენა ხელსა, გულსა და მარჯვენა გვერდში. როგორც ჩვენ ვნახეთ, ჭრილობა ძნელია, გადარჩენა საეჭვოა. სურამის ბოქაულთან წავიდნენ, მაგრამ შინ არ დაუხვდათ, ექიმი ხომ სად არის... სასურველია, რომ ბოქაულმა სამართლიანად გამოიძიოს ეს საქმე, რათა ამითი დაამშვიდოს აღელვებული გლეხ-კაცობა.

ნაცნობი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისსაცა ჰყავს თავისი „ნაძალადევლები“. ესენი არიან სალორიის აგარაკის მოიჯარადრენი, რომელთაც, ქალაქთან დადებულ ხელ-შეკრულობის მიუხედავად, იჯარით აღებულს მიწებზედ სახლები ააშენეს და ამ გვარად ეს მიწებიც დაიჩემეს. ქალაქმა უჩივლა ამ უკანონო მემამულეთ, აღმასრულებელი ფურცლები მიიღო სასამართლოდგან, მაგრამ მათი აღსრულება, ამ აშენებულ სახლების დანგრევა და ქუთათურ ნაძალადევლეთა განდევნა-კი ველარ გაჰბედა და გადასწყვიტა თურმე, როგორც „ახ. მიმოხ.“-ის კორესპონდენტი სწერს, კვლავ შეჰკითხებოდა ამ საგნის შესახებ საბჭოს.

ამასთანავე, სწერს კორესპონდენტი: მოიჯარადრენი ჰგრძნობდნენ, რომ სტყუოდნენ და მოთხოვნილება ქალაქისა სამართლიანი იყო, მაგრამ ამბობდნენ, რომ თუ სასამართლოს გარდაწყვეტილება სისრულეში იქმნა მოყვანილი, დიდს გაჭირვებაში ჩავარდებითო, და სთხოვდნენ ქალაქს, საბჭომ ქალაქისამ თავისის ნებისამებრ დანიშნოს საიჯარადრო გადასახადი და ისევ დაგვტოვოს აქ საცხოვრებლადაო.

ქალაქის გამგეობამ, გაითვალისწინა რა უკიდურეს-უმწვერვალესი მდგომარეობა ამ მოიჯარადრეებისა, წინადადება მისცა თურმე საბჭოს ამ 17 ივნისის კრებაზედ, რომ კვლავ იქმნას გადასინჯული საქმე ამ იჯარადრების აყრისა, რადგან იქნება საბჭო ისეთს გარდაწყვეტილებას დაადგეს, რომ შეიძლებოდეს არც ეს მოიჯარადრენი ავიყაროთ და ავახსროთ და ქალაქსაც სარგებლობა მიეცესო. ამ საგანმა საბჭოს ხმოსანთა შორის ხანგრძლივი ბაასი და კამათი გამოიწვია თურმე. დასასრულ, კენჭი ჰყარეს იმის გადასაწყვეტად, ეხლავე განიხილოს ეს საგანი საბჭომ, თუ საშემოდგომოდ გადაიდოსო. საბჭომ 14 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ დაადგინა, იჯარადრების აყრის საქმე კერძო კომისიას გარდაეცეს ხელახლა განსახილველად და საბჭოს კომისიის დადგენილება შემოდგომაზედ მოხსენდეს მისდა გარდასაწყვეტადაო. ამგვარად, ქუთათური „ნაძალადევლები“ შემოდგომამდე დატოვებულ იქმნენ თვის მიერ ძალად დაჩემებულ მიწებზედ.

# რუსეთი

— ფინანსთა სამინისტროს გარდასახადთა ინსპექციის ცვლილებათა შესახებ პროექტის შემუშავება უკვე დაუსრულებია. შემოდგომაზედ პროექტი ჯეროვანს უწყებებს გაეგზავნებათ თავისის აზრის გამოსათქმელად.

— 18 ივნისს რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტში, დეპარტამენტის დირექტორის ვ. ვ. მაქსიმოვის თავმჯდომარეობით, სხდომა მოხდება რუსეთის რკინის გზებზედ რკინისა, თუჯისა და სხვა ლითონის გადასატან-გადმოსატან გარდასახადის განსახილველად.

— რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოება შემოდგომაზედ მსურველთათვის ბაღოსნობის კურსებს დააარსებს პეტერბურგში. კურსებზედ შემდეგის საგნების შესახებ წაიკითხავენ ლექციებს: ხილის მოყვანისა, მებოსტნეობისა და ბაღოსნობისა. ვინც მოისურვებს, ბოტანიკის შესახებაც შეუძლიან მოისმინოს ლექციები.

— სამეურნეო სამინისტროს სწავლულთა კომიტეტი დაბალს სკოლაში სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღების შესახებ პროექტის განხილვას ამ შემოდგომაზედ სრულიად დაასრულებს. ხსენებულის პროექტით განზრახვა აქვთ სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღების საქმეში ცვლილებანი შეიტანონ.

# უცხოეთი

**საბერძნეთ ოსმალეთის ზავი.** საბერძნეთ-ოსმალეთის შორის ზავის შესახებ მოლაპარაკება, როგორც გაზეთებიდგან სჩანს, მალე დასრულდება. უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზი მოლაპარაკებისა თესალია იყო. როგორც მკითხველს მოეხსენება, ოსმალეთს არას გზით არ უნდოდა თესალიის დათმობა. ეხლა სულთანს უარი განუცხადებია თესალიის შემოერთებაზედ და მოუთხოვნია მხოლოდ საზღვრების შესწორება. რასაკვირველია, თუ ეს ცნობა სიმართლეს არ არის მოკლებული, ევროპის წარმომადგენელნი და თევთიკ-ფაშა დანარჩენ საგნების შესახებ მალე მოილაპარაკებენ და ზავის საქმე გათავებული იქმნება.

მიუხედავად ამისა, გაზ. „Нов. Вр.“ მაინც იმ აზრისაა, რომ მოლაპარაკება კიდევ დიდ ხანს გასტანსო. მართალია, თესალიაზედ უარი განუცხადებია ოსმალეთს, მაგრამ საზღვრების შესწორება არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ბევრს წარმოუდგენიაო. უკანასკნელ დეპეშებიდგან აშკარადა სჩანს, ამბობს გაზეთი,—რომ ზოგიერთ სახელმწიფოთ ისე უნდათ საზღვარი გაიყვანონ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის, რომ ამ უკანასკნელს, კუცოვლახის სოფლის გარდა, არც ერთი დასახელებული ადგილი არ ერგოს, ზოგი-კი, პირიქით, ისეთს საზღვარსა სდებს, რომ ოსმალეთს მთელი მდიდარი ხეობა და ერთი ქალაქი რჩებაო. პარიჟსა და ლონდონში ამ უკანასკნელის აზრის წინააღმდეგნი არიან, ბერლინში და ვენაში-კი მომხრენიო.

**კრიტი.** გაზეთების სიტყვით დროზმა უარი განაცხადა კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე. ამიტომ ვენის სადიპლომატიო წრეებმა ხელ-ახლა წამოაყენებს პრინც ბატენბერგის კანდიდატურაო. მაგრამ იმავე გაზეთების აზრით, ბატენ ბერგის პრინცის გუბერნატორად დანიშვნა შეუძლებელია, რადგან ის კათოლიკეთა სარწმუნოებისაა და კრიტის მცხოვრებლებს შორის სიყვარულსა და თანაგრძნობას ვერ მოიპოვებსო.

## ნაკვესი

ერთმა იტალიელმა ოც-და-ათი წელიწადი იცხოვრა ვენაში და გერმანული ლაპარაკი მაინც ვერ შეისწავლა. ამიტომ ერთხელ წყენითა სთქვა:

— ოჰ, რა სულელი ერია ეს გერმანელების ერი! ოც-და-ათი წელიწადია იმათ შორის ვცხოვრობ და აქამდის ჩემი არა ესმით-რაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ძველი გაზეთი ხომ არარაფრისათვის არის გამოსადეგი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში-კი კარგს სამსახურს გაუწევს კაცსა. ფეხზედ რომ დაიხვიოთ ზამთარში ისე კარგად დაათბობს, როგორც კარგი წინდა. გარდა ამისა გაზეთის ქაღალდი ძლიერ კარგად ინახავს შიგ გახვეულ ტანთ-საცმელს ჩრჩილისაგან, რადგანაც სტამბის წამლის სუნი ჩრჩილს ძლიერ ეჯავრება. ზაფხულში ცივის ღვინით სავსე ბოთლი რომ გაახვიოთ ორ-სამ გაზეთში, რამდენსამე საათს არ გათბება. ინგლისსა და საფრანგეთში ძველ გაზეთებისაგან იაფ-ფასიან საბნებს აკეთებენ ღარიბ ხალხისთვის. ლონდონში ხშირად ღარიბი კაცი ქუჩაში იძინებს და რადგანაც სხვა არაფერი გააჩნია, გაზეთს იხურავს. უფრო გამოსადეგი ამ შემთხვევაში გაზეთი „Times“-ია, რადგანაც იგი მართლა რომ საბნის ოდენაა.

***

კალიფორნიაში ამ ჟამად მრავალი ხალხი მიდის თურმე ერთის უცნაურისა და ძვირფასის სახლის სანახავად. ეს სახლი სულ ერთიანად სადაფებისაგან არის თურმე აგებული. სახლი ეკუთვნის ერთს ჩინეთელს, რომელსაც ამ სახლის აგებაზედ აუარებელი ფული დაუხარჯავს. მართლაც და, აბა ვინ იანგარიშებს, რამდენი ფული დაიხარჯა ამ სახლზედ, როდესაც ამ სახლს მოუნდა მილიონზედ მეტი სადაფი, რომელთა შორის სულ პატარა 5 მანათი დაუჯდა თურმე სახლის პატრონს და სულ დიდი 20 და 25 ათასი მანათი.

სახლის კარების თავზედ მიმაგრებულია ერთი დიდი სადაფი, რომელიც 50 ათას მანათად არის თურმე ნაყიდი.

ამბობენ, ეს სახლი მზიან დღესა და მთვარიან ღამეს სწორედ რომ უცხო სანახავი არისო.

***

ამბობენ, წელს გაჰქრა ის კუნძული, რომლის სახელი მთელს დედამიწის ზურგზედ იყო განთქმული იმის გამო, რომ ცნობილმა მწერალმა დანიელ დე-ფომ თვისი შესანიშნავი წიგნი დასწერა „რობინზონ კრუზოე“. ზღვის ძირში მიწა იძვრა თურმე, კუნძული დაინგრა და იმსხვერპლა რამდენიმე აქ დასახლებული მეთევზე. ამგვარად სახელგანთქმულის კუნძულიდგან არაფერი დარჩა, გარდა იმ მოთხრობისა, რომელიც სახელოვანმა ინგლისელმა მწერალმა დასწერა.

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ცალკე წიგნაკად მ. შარაძის სტამბაში ლამაზად დასტამბული ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის სახალხო მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, რომელიც „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა. ეხლა ახალს გამოცემაში წიგნს დართული აქვს ორი სურათი—„მეფე ერეკლისა“ და ერთიც მოთხრობის შინაარსის აღმნიშვნელი—იმ ადგილისა, სადაც აწერილია, როგორ დააყარა ინგილო გოგომ მეფე ერეკლეს და მის მხლებლებს თავზედ ქლიავი.

წიგნაკი შეიცავს 16 გვერდს პატარა ზომისას და ჰღირს ერთი შაური.

## წერილი რედაქციის მიმართ

მოხისის მანდილოსნებმა ურთიერთშორის შეაგროვეს სამი თუმანი და მე გადმომცეს. სახელდობრ: სიდონია კვალიაშვილისამ და მ. მამაცაშვილისამ—სამ-სამი მანეთი, კ. კვალიაშვილისამ—2 მან. თითო მანეთი: მაკრინე, გაიანე, მატრონე და ოლგა კვალიანთა, ს. გელაშვილისამ, ს. ნოზაძისამ, ს. ბოლოკაურმა, ს. ტურაშვილისამ, მარიამ, სალომე, ფეფე და ელისაბედ ამბოკაძიანთა, მაგდანა, მართა და მაკა გოქაძიანთა, პელაგია ღვალაძისამ, ტასო და კეკე ელიანთა, ს. მესხისამ, ნენე ნასყიდაშვილისამ და ოლგა ქესანაშვილისამ; ე. ამბოკაძისამ 50 კ. და უცნობმა 50 კ. ამ ფულით, შემომწირველთა სურვილისამებრ, ვიყიდეთ ერთი ხელი სამღვდელო შესამოსელი მოხისის ეკკლესიისათვის.

ამას გარდა, ს. მოხისში არსებულ წერა-კითხვის სკოლის სასარგებლოდ შემოსწირეს: გომში მოვაჭრე იორდანე სიხარულიძემ ერთი თუმანი და თითო მანეთიც კოტე წინამძღვარიშვილმა და გაბო კოშკაძემ, რისთვისაც მადლობას ვწირავ ყველა შემომწირველთ.

მოხისის ეკკლესიის მღვდელი ბენიამინე კონტრიძე


## განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

### იოანე მოწყალე

და

ცხოვრება მისი 1 სურათით.

გამოცემა უდაბურ წყალ-წმიდის ძმობისა, თარგმანი თ. სახოკიასი. წიგნი 55 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში.

(3—120—3)

Т-во БРОКАРЪ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ПАРФЮМЕРІИ
„Персидская сирень“
О-де-колонъ.
Духи. ✤ Мыло.




Просимъ остерегаться поддѣлокъ.

(11—მ—1)

იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭოს კანცელარია 12 ამა ივნისიდგან მოთავსებულია სამხედრო ოლქის საბჭოს კანცელარიასთან, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე. ვისაც რაიმე საქმე აქვს, შეუძლიან მიჰმართოს საბჭოს წევრს-სეკრეტარს ნ. ა. მარკს ყოველ დღე დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდგან 7 საათამდე,

(3—უ.—2)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

### ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

### ი. გოკიელოვის შვილების

### საფაჩრო

ქუთაისში

გადატანილია იმავე მიხეილის ქუჩაზედ, საკუთარს მამულში, „ოკრუჟნოი სუდის“ პირდაპირ, სადაც ვთხოვთ მიჰმართონ მსურველთ თვისის მოთხოვნილებით.

(10—108—7)

## ახალი გამოცემანი

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი**, სახალხო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, ორი სურათით, ფასი ერთი შაური. ვინც ასობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად.

**დედა-ენა**, მეთორმეტე გამოცემა, შესწორებული და შევსებული მრავალი ახალი სურათით, რომლის რიცხვი აღემატება ამ ახალს გამოცემაში სამას სამოც სურათსა. წიგნი წინანდელზედ მეტია სტამბის მთელი თაბახით და შეიცავს 224 გვერდსა. ფასი კი წინანდელია—ორი აბაზი ყდით.

**ბუნების კარი**, მეცხრე გამოცემა, რომელშიაც პირველად არის დასურათებული ეტნოგრაფიული, გეოგრაფიული და ისტორიული განყოფილება ოცდა-ათი ახალი ნახატით. ფასი უწინდელია—90 კაპ. ყდით.

**რვეულები** ქართულის წერისა, „დედა-ენასთან“ სახმარებელი, ფასი ოთხი კაპ. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ასობით, მას რვეული დაეთმობა 3 3/4 კაპ.

**სალამური**, ანუ ქართული სახალხო სიმღერები, გადაღებულნი ნოტებზედ ზაქარია ჩხიკვაძის მიერ, ფასი ხუთი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცს ცალსა, აბაზად დაეთმობა.

**ოქროს მოყვარულები** მოთხ. ცშოკესი თარგ. ელენე წერეთლისა ფასი 15 კ.

**მთიულეთი** 1804 წ. ისტორიული ამბავი, ფასი 70 კ.

**ლიქსები** ნ. ბარათაშვილისა მეხუთე გამოცემა ფასი 40 კ.

აქვე იყიდება:

**მოსავლის მცველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, რომელშიაც აწერილია თექვსმეტი მცველი ჭირნახულისა ოცდახუთი სურათით, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ფასი ერთი აბაზი. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ოცობით, წიგნი დაეთმობა 16 კაპ.

**თავდადებულნი ქართველნი**, ანუ ისტორიულნი მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, ფასი 10 კ. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცობით, წიგნაკი დაეთმობა 8 კაპეიკად. (3—უ—2)

## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.
1 ივნისს, 1897 წლისას.
(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა | 2675 | 58 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 559 | — |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 4100 | — |
| IV. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 134770 | — |
| V. | განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | 164 | 34 |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 1007—70; ბ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3080—— | 4087 | 70 |
| VII. | საზოგადოების მიმდინარე ხარჯი | 4522 | 76 |
| VIII. | დასაბრუნებელი ხარჯი | 194 | 06 |
| IX. | მოწყობა-მომართვა | 978 | 57 |
| X. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 20 | 85 |
| XI. | პროტესტში წასული თამასუქები | 100 | — |
| XII. | ანგარიში მოგებისა და ზარალისა | 1255 | 98 |
| | სულ | 153428 | 69 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 564 წევრთაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 62172 | — |
| II. | სათადარიგო თანხა | 434 | 47 |
| III. | შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით 16278—30; ბ) ვადით 18170——; გ) უვადოდ 20000—— | 54448 | 30 |
| IV. | მიღებული სარგებელი და კომისიის ფული, გარდახდილს გარდა | 5033 | 31 |
| V. | გარდასაცემი თანხა | 3625 | 34 |
| VI. | გარდასახდელი სარგებელი | 388 | 98 |
| VII. | გადაგირავება თამასუქებისა | 27325 | — |
| VIII. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 1 | 95 |
| | სულ | 145773 | 10 |
| | პასუხის-მგებლობა 564 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 559548 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 8800 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ | 300 | — |

(1—ნ.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 20 го Юнія 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.